საქართველოს მთავრობის
განკარგულება №2717

2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ შპს „მექანიზატორისთვის“ თანხის გადარიცხვის შესახებ

1. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დამტკიცებული ქვეპროგრამის – „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ (პროგრამული კოდი 37 06 05) ფარგლებში სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ 3 556 440 (სამი მილიონ ხუთას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხას ორმოცი) ლარი მიმართოს შპს „მექანიზატორის“ ანგარიშზე.
2. დაევალოს შპს „მექანიზატორს“, უზრუნველყოს „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული 29 ერთეული 80 ცხ/ძ-იანი ტრაქტორის შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**